ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონი“

თავი I - ზოგადი ინფორმაცია

მიზნობრიობა

ა(ა)იპ სასწავლო-აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონმა“ შეიმუშავა საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიო პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს და ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

თავი II - რისკების შეფასება

გეგმის გაწერამდე ჩატარდა დეტალური რისკების შეფასების პროცესი. რისკების შეფასების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ახალი კორონავირუსით (SARS, SARS-CoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა თავისი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე გადის COVID -19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების **საშუალო რისკის** კატეგორიაში:

ინფიცირების **საშუალო რისკის** სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები).

აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით კომპანიამ შეიმუშავა კონტროლის მექანიზმები და შეეცადა რისკის დონის კიდევ უფრო ჩამოწევას და მის გადაყვანას **დაბალი რისკის** კატეგორიაზე. რისკების შეფასების შემდეგი ეტაპი: **კონტროლის მექანიზმების შემუშავება** წარიმართა საერთაშორისოდ აპრობირებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული **კონტროლის მექანიზმების იერარქიის** მიხედვით:

კონტროლის მექანიზმების იერარქია:



თავი III - კონტროლის მექანიზმები

საფრთხის იზოლირება - საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები

1. ***<u>ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში სპეციალური იზოლირებული ოთახის / სივრცის გამოყოფა.</u>***

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა შემდეგი პროცედურები:

- სკოლის შესასვლელში ხორციელდება თერმოსკრინინგი, რათა მოხდეს კონტროლი როგორც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომელთა და სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ტემპერატურის გაზომვით;

- თერმოსკრინინგისას ცხელების - 37C ან 37C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ტემპერატურის გადამოწმება ვერცხლისწყლის თერმომეტრით. გადამოწმება უნდა განხორციელდეს 15 წუთიან შუალედში.

- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, სკოლის შესასვლელში უზრუნველყოფილია შესაბამისი მოსაცდელი სივრცე სადაც უნდა განხორციელდეს პირის დროებით მოთავსება.

- სიცხის გადამოწმების შემდეგ 37^{0}C ან 37^{0}C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

  - არ უნდა განხორციელდეს პირის დაშვება სკოლაში და ამ შემთხვევაში ის ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
  - მოსწავლის შემთხვევაში კი, უნდა განხორციელდეს მოსწავლის აღჭურვა პირბადით და მისი მოთავსება წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში.
  - უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ დაკავშირება მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
  - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოხდება დაუკავშირება 112-ის სამსახურთან, შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;

- საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) აუცილებელია ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და დაწესებულ იქნას მოსწავლეებზე მეთვალყურეობა.

- დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მოხდეს მათი ტემპერატურის გადამოწმება და შედეგების შესაბამისი რეაგირება:

  - არ მოხდეს რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლების და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;
  - რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილ იქნება საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე;
  - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია დაუკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

- რაც შეეხება მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.

- ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყოფილია საიზოლაციო ოთახი (შესაბამისი ნიშნით) , რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
  - ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
  - აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
  - ყოველი გამოყენების შემთხვევაში ხორციელდება საიზოლაციო ოთახის დამუშავება სველი წესით.

- სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევაში გამოვლენილი პირები გადაყვანილი იქნებიან სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

2. კომპანიის სამუშაო სივრცის სრული რეგულარული დეზინფექცია

სანიტარიულ კვანძში სისუფთავის დაცვისთვის წინასწარ განისაზღრება საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება განხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ გაირეცხება და გააშრება;
უზრუნველყოფილი იქნება დამლაგებლის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- ხელთათმანები;
- სახის ფარი;
- წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას)/ ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;

დასუფთავების დროს თავიდან იქნება აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;

დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, დამლაგებელმა ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებლად უნდა დაიბანოს ხელები;

სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები შეინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი პირებისთვის;

3. სამუშაო სივრცის გამუდმებული ვენტილაცია

სკოლაში არსებული დახურულ სათავსებში განხორციელდება სავენტილაციო სისტემის მეშვეობით სრული სამუშაო სივრცის გამუდმებულ რეჟიმში ვენტილაცია, იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია, დაცვის სამსახურის მეშვეობით მოხდეს კარებების / ფანჯრების გაღება და ჰაერის განიავება.

4. ხელის სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა

სკოლაში ხელმისაწვდომია ხელის სადეზინფექციო საშუალებები როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მასწავლებელებისთვის.

5. **ტრანსპორტირება**

უზრუნველყოფილია სკოლის სატრანსპორტი საშუალების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექსპლუატაცია „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №20 დანართით - „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მუნიციპალური და საქალაქთაშორისო (ავტობუსი, მიკროავტობუსი) ტრანსპორტისთვის“- გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად;

კერძოდ:

- მოსწავლეებს თერმოსკრინინგი ჩაუტარდებათ ტრანსპორტში ასვლამდე;
- ტრანსპორტირებისას ნებისმიერი პირისთვის (მოსწავლე, მასწავლებელი, მძღოლი და ა.შ.) სავალდებულოა პირბადის გამოყენება, რომლის შესახებ ცნობილია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მატი მშობლებისთვის/ კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

1. **დაუყოვნებლივ შემუშავდეს ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა.**

მოხდა შემუშავებული გეგმის გაცნობა როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის, ასევე მოსწავლეებ ისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენელებისთვის.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. **საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება.**

სკოლაში მომარაგებულია საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები. აღნიშნული საშუალებები განთავსებულია ტერიტორიაზე რამდენიმე ხელმისაწვდომ ადგილას.